



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080131288008819

№ 4426

11 / ნოემბერი / 2019
წ.

შპს „ედ ტეკის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

ტენდერის ნომერი: NAT190014149;

შესყიდვის ობიექტი: 80200000 – მომსახურებები საშუალო განათლების სფეროში;

პრეტენდენტი: შპს „ედ ტეკი“ (ს/ნ: 412723147);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 12 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 9 აგვისტოს № MES81901033598 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 8679), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT190014149 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „ედ ტეკის“ (ს/ნ: 412723147) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. პრეტენდენტს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე d_archvadze@murtsku.com, 2019 წლის 23 აგვისტოს № 3333 წერილებით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია

1.3. პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის ფაქტისა და შესაბამისად, მისი შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადაგენად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 15 ოქტომბრის № 4137 განკარგულებით, ერთი თვით გაგრძელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 9 აგვისტოს № MES81901033598 წერილობითი შეტყობინების (რეგისტრაციის № 8679) საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო NAT190014149 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „ედ ტეკის“ (ს/ნ: 412723147) დისკვალიფიკაციის საფუძველით შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „ედ ტეკმა“ (ს/ნ: 412723147) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2019 წლის 30 ივლისს წარმოადგინა მინდობილობა, რომლითაც კომპანიის დირექტორი, სხვა სახის უფლებამოსილებასთან ერთად, გიორგი კვინიკაძეს ანიჭებდა კომპანიის სახელით ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისა და ტენდერით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ატვირთვის უფლებას. ამავე დროს, შპს „ედ ტეკის“ მიერ ატვირთული სხვა დოკუმენტები დამოწმებული იყო გიორგი კვინიკაძის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. გარდა ამისა, სატენდერო კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ ხსენებული პირი – გიორგი კვინიკაძე იყო იმავე ტენდერში მონაწილე შპს „კინგის“ (ს/ნ: 401967270) აღმასრულებელი მენეჯერი და მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მითითებული იყო შპს „კინგის“ პროფილში კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართად. გიორგი კვინიკაძე ასევე მითითებული იყო ხსენებული კომპანიის პროფილში, როგორც შპს „კინგის“ საკონტაქტო პირი.

2.2. გარდა ამისა, გიორგი კვინიკაძის იდენტიფიკაციის მიზნით გადამოწმებული იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული სხვა ტენდერები, სადაც მონაწილეობა მიიღო შპს „კინგსმა“ და მოპოვებულ იქნა მინდობილობა, რომელიც გაცემულია შპს „კინგის“ დირექტორის, ირაკლი ჯინჯიხაძის, მიერ 2019 წლის 11 იანვარს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული მინდობილობით დირექტორი იმავე გიორგი კვინიკაძეს აძლევს უფლებამოსილებას, სხვა უფლებებთან ერთად, განახორციელოს ტენდერებში მონაწილეობა, დოკუმენტაციის ატვირთვა და სხვა. ორივე შემთხვევაში პირადი ნომერი იდენტურია და დადგენილია, რომ შპს „კინგის“ ოფიციალური საკონტაქტო პირი და შპს „ედ ტეკის“ მინდობილი პირი, რომელმაც NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში წარმოადგინა სატენდერო წინადადება, არის ერთი და იგივე პირი. ამასთან, სატენდერო კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ გიორგი კვინიკაძე სატენდერო წინადადების წარმოდგენის დროისათვის (30.07.2019) და შემდეგაც აგრძელებდა საქმიანობას შპს „კინგთან“ და კვლავ იყო ხსენებული კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში, მაგალითად, SPA190003903 ელექტრონულ ტენდერში შპს „კინგის“ სახელით სატენდერო წინადადება წარდგენილ იქნა გიორგი კვინიკაძის მიერ 2019 წლის 6 აგვისტოს.

2.3. 2019 წლის 8 აგვისტოს სატენდერო კომისიამ № 85/4-19 საოქმო გადაწყვეტილებით მიმართა დაინტერესებულ პირებს, წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 2019 წლის 9 აგვისტოს შპს „ედ ტეკის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა მოსაზრება (იგივე მოსაზრება წარმოდგენილია ელექტრონულ მისამართზეც), რომელსაც ხელს აწერს გიორგი კვინიკაძე. მასში მითითებულია, რომ იგი მხოლოდ მინდობილობების საფუძველზე ახორციელებს მომსახურებას სხვადასხვა ტენდერებში და არ იკავებს რაიმე თანამდებობას შპს „კინგსში“. ამასთან, მას ინფორმაცია ჰქონდა იმის თაობაზე, რომ შპს „კინგის“ აპირებდა ტენდერში მონაწილეობას, თუმცა რადგან კომპანიები იყვნენ კონკურენტები, არ შეიძლება სცოდნოდა, ნადვილად მიიღებდა თუ არა შპს „კინგის“ ტენდერში მონაწილეობას და რა ღირებულების სატენდერო წინადადების ფასს დააფიქსირებდა. რაც შეეხება მის საკონტაქტო პირად მითითების საკითხს, გიორგი კვინიკაძე განმარტავს, რომ არასოდეს იკავებდა რაიმე თანამდებობას შპს „კინგსში“ და პროფილში მისი მონაცემები მითითებულია მხოლოდ იმიტომ, რომ გასულ პერიოდში თვითონ შეავსო პროფილი. გიორგი კვინიკაძე ასევე უთითებს, რომ იგი მხოლოდ მინდობილობის საფუძველზე ახორციელებდა საქმიანობას, რაც გამორიცხვას მის საქმიანობას შპს „კინგის“ აღმასრულებელი მენეჯერის პოზიციაზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მითითებით, ხსენებული არგუმენტი უსაფუძვლოა, ვინაიდან მესამე პირებთან ურთიერთობაში გიორგი კვინიკაძეს აუცილებლად დასჭირდებოდა მინდობილობა ნებისმიერი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, რადგანაც იგი ამონაწერში არ იყო მითითებული იურიდიული პირის წარმომადგენლად.

2.4. შემსყიდველი ორგანიზაციის მითითებით, ამკარაა, რომ პირმა, რომელიც არის ერთი პრეტენდენტის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი, მეორე პრეტენდენტის სახელით თავისივე ხელმოწერით წარმოადგინა სატენდერო წინადადება. დგინდება, რომ მას ჰქონდა საკმარისი წვდომა, ასევე იცოდა პირველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების პირობები და მეორე პრეტენდენტის სახელით თვითონვე წარმოადგინა სატენდერო წინადადება. საქართველოს კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა აფიდავიტის პირობების უპირობო დარღვევას პრეტენდენტის – შპს „ედ ტეკის“ მიერ, რომელმაც იცოდა პირველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესახებ. შესაბამისად, მას სატენდერო კომისიის 2019 წლის 9 აგვისტოს № 85/5-19 სხდომის ოქმით, მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

3. პრეტენდენტის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა NAT190014149 ელექტრონული ტენდერი საშუალო განათლების სფეროში მომსახურებების (CPV80200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „ედ ტეკმა“ (ს/ნ: 412723147) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2019 წლის 30 ივლისს წარმოადგინა მინდობილობა, რომლითაც კომპანიის დირექტორი, სხვა სახის უფლებამოსილებასთან ერთად, გიორგი კვინიკაძეს ანიჭებდა კომპანიის სახელით ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისა და ტენდერით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ატვირთვის უფლებას. ამავე დროს, შპს „ედ ტეკის“ მიერ ატვირთული სხვა დოკუმენტები დამონმებული იყო გიორგი კვინიკაძის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად, 2019 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, გიორგი კვინიკაძე იყო იმავე ტენდერში მონაწილე შპს „კინგსის“ (ს/ნ: 401967270) აღმასრულებელი მენეჯერი და მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი – g.kvinikadze@cu.edu.ge სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მითითებული იყო შპს „კინგსის“ პროფილში კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართად. გიორგი კვინიკაძე ასევე მითითებული იყო ხსენებული კომპანიის პროფილში, როგორც შპს „კინგსის“ საკონტაქტო პირი.

4.3. საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ 2019 წლის 11 იანვრის მინდობილობით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: № 190025398) შპს „კინგსის“ (ს/ნ: 401967270) დირექტორმა, ირაკლი ჭინჭიხაძემ, გიორგი კვინიკაძეს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სხვა უფლებებთან ერთად, მიანიჭა კომპანიის სახელით ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის უფლებამოსილება.

4.4. 2019 წლის 8 აგვისტოს სატენდერო კომისიამ № 85/4-19 ოქმით მიმართა დაინტერესებულ პირებს, წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შპს „ედ ტეკმა“ 2019 წლის 9 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოადგინა საკუთარი მოსაზრება, რომელიც დამონმებულია გიორგი კვინიკაძის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. გიორგი კვინიკაძის მითითებით, იგი 2012 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა განათლების სფეროში სხვადასხვა კომპანიებთან, მათ შორის, შპს „კინგსთან“. ამასთან, მისთვის ცნობილი არ იყო შპს „კინგსის“ სატენდერო წინადადების შესახებ, არამედ მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ შპს „კინგსსაც“ შეეძლო მიეღო მონაწილეობა ტენდერში, თუმცა, ამ შემთხვევაში, შპს „კინგსი“ მისი კონტრაქტორის პირდაპირი კონკურენტი იყო. ამდენად, მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, ნამდვილად მიიღებდა თუ არა შპს „კინგსი“ მონაწილეობას აღნიშნულ ტენდერში და თუ მიიღებდა, რა ღირებულების სატენდერო წინადადების ფასს დააფიქსირებდა. ამასთან, გიორგი კვინიკაძის განცხადებით, შპს „კინგსთან“ თანამშრომლობის პერიოდში მან შეავსო ხსენებული კომპანიის პროფილის მონაცემები სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში. ამდენად, მას ტენდერის ჩატარების დროისთვის შპს „კინგსში“ არ ჰქონდა დაკავებული რაიმე პოზიცია და იგი არ წარმოადგენდა ხსენებული კომპანიის აღმასრულებელ მენეჯერს. მისი მითითებით, შპს „კინგსში“ იგი სარგებლობდა დირექტორის (ირაკლი ჭინჭიხაძის) მინდობილობით და არასდროს ყოფილა შპს „კინგსის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მინდობილობის გარეშე, რასაც ადასტურებს შპს „კინგსის“ ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. ასევე, ტენდერში შპს „კინგსის“ დოკუმენტაცია ელექტრონულად ხელმოწერილი იყო კომპანიის დირექტორის, ირაკლი ჭინჭიხაძის, მიერ.

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ პირმა, რომელიც იყო ერთი პრეტენდენტის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი, მეორე პრეტენდენტის სახელით თავისივე ხელმოწერით წარმოადგინა სატენდერო წინადადება. ამასთან, დგინდებოდა, რომ მას ჰქონდა საკმარისი წვდომა, ასევე იცოდა პირველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების პირობები და მეორე პრეტენდენტის სახელით თვითონვე წარმოადგინა სატენდერო წინადადება. საქართველოს კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა აფიდავიტის პირობების უპირობო დარღვევას პრეტენდენტის – შპს „ედ ტეკის“ მიერ, რომელმაც იცოდა პირველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესახებ. შესაბამისად, მას სატენდერო კომისიის 2019 წლის 9 აგვისტოს № 85/5-19 სხდომის ოქმით, მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

4.6. იმავე ელექტრონულ ტენდერში, სატენდერო კომისიამ 2019 წლის 20 აგვისტოს №85/7-19 სხდომის ოქმით დაადგინა, რომ ირაკლი ვეკუა, რომელიც იყო შპს „ედ ტეკის“ 40,4% წილის მფლობელი, ამავედროულად იყო შპს „კინგსის“ უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტაციის ატვირთვას. სწორედ ირაკლი ვეკუას მიერ იყო ატვირთული დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შპს „კინგსის“ სახელით NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში 2019 წლის 2 აგვისტოს. ამავე ოქმით (რომლითაც გაუქმდა 2019 წლის 2 აგვისტოს №85/3-19 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „კინგსის“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დისკვალიფიკაციის თაობაზე), შპს „კინგსის“ (ს/ნ: 401967270) მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12

ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

4.7. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2016 წლის 23 დეკემბრის № B16174305 ამონაწერის თანახმად, შპს „ედ ტეკის“ (ს/ნ: 412723147) 40.4% წილის მფლობელ პარტნიორს წარმოადგენს ირაკლი ვეკუა. საქმეში არსებული შპს „კინგის“ 2019 წლის 19 აგვისტოს წერილის თანახმად, კომპანიის მომხმარებლებად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული იყო გიორგი კვინიკაძე, დოკუმენტების „ამტვირთავ“ პირად სისტემაში ჩანდა ირაკლი ვეკუა, თუმცა აღნიშნული პირი 2014 წლიდან აღარ წარმოადგენს შპს „კინგის“ თანამშრომელს და სისტემაში შემორჩენილი იყო ძველი ინფორმაცია. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის შეუცვლელობის გამო არ შექმნილა პრობლემები ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მხრივ. ამავე დროს, აღნიშნული ინფორმაცია იქნა განახლებული და სისტემაში დოკუმენტების ატვირთვაზე უფლებამოსილ პირად, ასევე კომპანიის საკონტაქტო პირად მითითებულ იქნა შპს „კინგის“ დირექტორის – ირაკლი ჭინჭიხაძის პირადი მონაცემები. ამავე წერილის თანახმად, NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში შპს „კინგის“ მონაწილეობდა უშუალოდ დირექტორის პირადი ჩართულობით და დოკუმენტაციაც დამონმებული იყო მის მიერ. რაც შეეხება გიორგი კვინიკაძეს, ის მართლაც სარგებლობდა დირექტორის მიერ მინიჭებული მინდობილობით და სხვადასხვა ტენდერში იღებდა მონაწილეობას შპს „კინგის“ სახელით. NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობაზე მან თავიდანვე განაცხადა უარი, როგორც მენეჯერმა და, როგორც გაირკვა, შემდგომში ითანამშრომლა შპს „ედ ტეკთან“. ამასთან, შპს „ედ ტეკთან“ გიორგი კვინიკაძის თანამშრომლობა იყო მისი პირადი გადაწყვეტილება და ამის შესახებ ინფორმაცია შპს „კინგის“ დირექტორს არ გაუგებდა.

4.8. NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში შპს „ედ ტეკისა“ (ს/ნ: 412723147) და შპს „კინგის“ (ს/ნ: 401967270) მიერ ტექნიკური (მათ შორის, დაბუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილია ერთი და იმავე IP მისამართიდან.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ედ ტეკი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აკებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ან მისი კომპონენტი შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ამასთან, ამავე პირობების მიხედვით, „კონკურენტი“ არის ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში/კონკურსში.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის პროფილში მიეთითება მიმწოდებლის საკონტაქტო პირი, მისი თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში), ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს რიგ გარემოებებზე, მათ შორის, იმ ფაქტზე, რომ, როგორც საქმეში არსებული მასალებით დგინდება, გიორგი კვინიკაძე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შპს „კინგის“ პროფილში მითითებული იყო კომპანიის საკონტაქტო პირად, მაშინ, როდესაც NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში, რომელში მონაწილეობასაც იღებდა ასევე შპს „კინგის“, შპს „ედ ტეკის“ მიერ ატვირთული დოკუმენტები დამონმებული იყო იმავე გიორგი კვინიკაძის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. სააგენტო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, სახეზეა შპს „კინგის“ დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლითაც გიორგი კვინიკაძეს ენიჭება შპს „კინგის“ სახელით ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის უფლება და, ამავე დროს, ხსენებული პირი პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენის დორისთვის (30.07.2019) მითითებული იყო კომპანიის პროფილში მიმწოდებლის საკონტაქტო პირად (მეტიც, მისი ელ. ფოსტის მისამართი კომპანიის პროფილში პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენის დორისთვის (30.07.2019) მითითებული იყო შპს „კინგის“ ელ. ფოსტის მისამართად), ხოლო, მეორე მხრივ, იმავე პირის ხელმოწერით არის დადასტურებული იმავე ტენდერში მონაწილე მეორე პრეტენდენტის – შპს „ედ ტეკის“ ტექნიკური დოკუმენტაცია. სააგენტო მიუთითებს, რომ, მართალია, გამორიცხული არ არის ორი სხვადასხვა კომპანიის მიერ ერთ პირთან თანამშრომლობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ გიორგი კვინიკაძისთვის, როგორც შპს „კინგის“ საკონტაქტო პირისთვის, რომლის ელ. ფოსტის მისამართიც წარმოადგენდა კომპანიის ელ. ფოსტის მისამართს, ცნობილი იყო იმავე ტენდერში შპს „კინგის“ მონაწილეობის, ასევე მისი სატენდერო წინადადებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაცია. საგულისხმოა ისიც, რომ პრეტენდენტების მიერ ტექნიკური (მათ შორის, დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილია ერთი და იმავე IP მისამართიდან. ამდენად, ხსენებული გარემოებების ურთიერთშეჯერებისა შედეგად დასტურდება პრეტენდენტების მიერ აფიდავიტის პირობების დარღვევა. შესაბამისად, სახეზეა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულებების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.8. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან დგინდება, რომ შპს „ედ ტეკმა“ NAT190014149 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ედ ტეკი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.


სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „ედ ტეკი“ (ს/ნ: 412723147) 2019 წლის 12 ნოემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელემენტრონულად 

ლევან რაზმაძე